№ 171 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. კვირა, აგვისტოს 1 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებაანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 3 აგვისტოს დანიშნულია ფოთის გარნიზონის სახაზინო და კერძო შენობებიდან უსუფთაობის გატანის იჯარით აღების საჯარო შეჯიბრება, რომელიც მოხდება დისტანციის კანცელარიაში და ფოთის გარნიზონის უფროსთან დილის 12 საათზე. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობის გარდა 20% განცხადებულ ფასისა. 791 1—1

## ქუთაისის სავაჭრო სამრეწვ. სააქციონერო საზოგადოების

დამფუძნებელნი ამით აცხადებენ, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 5 ივლისს საზოგადოების წესდება დაამტკიცა.

საზოგადოების სამოქმედო თანხა წესდებით 30.000.000 მანეთით არის განსაზღვრული. თითო აქცია ღირს 1000 მან., რომლის ნახევარი მაინც უნდა იქნეს შემოტანილი ხელის მოწერის დროს. საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად კი 50 მან. თითო აქციაზე ერთდროულად. ხელის მოწერა მიიღება 10 აგვისტომდის შემდეგ ბანკებში:

**ქუთაისში:** საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში, სამეურნეო სამრეწველო კრედიტის საზოგადოებაში და აზოვო დონის კომერც. ბანკში.

**ტფილისში:** ამიერ კავკასიის ბანკში, ცენტრალურ ბანკში და სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში.

**ბათუმში:** ამიერ კავკასიის ბანკში, ცენტრო-ბანკში და საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში.

**ფოთში:** ქართულ სავაჭრო ბანკში. 2004 3—2

## ტფილისის მომხმარებელ საზოგად. „დემოკრატი“-ს

**(ყოფილი სამხედრო მოსამსახურეთა)** გამგეობა ამით აუწყებს აღნიშნულ საზოგადოების წევრთ, რომ მე-2 ჩვეულებრივი წლიური კრება დანიშნულია აგვისტოს 1-ს, დილის 10 საათზე ქ. ტფილისის კოოპერატივთა კავშირის ბინაზედ (სასახლის ქ. № 5), რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების 1919 საოპერაციო წლის მოქმედების შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. საკითხი საწევრო გადასახადის გადიდების შესახებ.
4. ამა 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
5. სხვა და სხვა საკითხების გარჩევა.
6. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევნები.

კრებაზედ დასწრებისათვის სავალდებულოა საწევრო წიგნაკების წარმოდგენა.

2059 2—1

### ოფიციალური განყოფილება

## შტატი

**1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.**

| №№ რიგზე. | თანამდებობის სახელწოდება. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | თვიური ჯამაგირი თვითეულს. | წლიური ჯამაგირი თვითეულს. | წლიური ჯამაგირი ყველას. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მანეთი. | | |
| | **3) „მუკუზანი“-ს სახელმწიფო მამული.** | | | | |
| | **1) გამგებლობა.** | | | | |
| 1 | მოურავი | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| 2 | ბუხჰალტერი | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| 3 | მოანგარიშე | 1 | 1800 | 21600 | 21600 |
| 4 | კანტორის მოხელე | 1 | 1650 | 19800 | 19800 |
| 5 | ნოქარი მასალების ზედამხედველი | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 6 | ფერშალი | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 7 | მანქანით გადამწერი | 1 | 1920 | 23040 | 23040 |
| 8 | მეეტლე | 1 | 1200 | 14400 | 14400 |
| 9 | ქსენონის მოსამსახურე | 1 | 750 | 9000 | 9000 |
| 10 | მეჯინიბე | 2 | 1100 | 13200 | 26400 |
| 11 | მეურმე-მეფურგუნე | 7 | 1100 | 13200 | 92400 |
| 12 | ღამის დარაჯი | 3 | 1000 | 12000 | 36000 |
| 13 | მეეზოვე | 2 | 1000 | 12000 | 24000 |
| 14 | მწყემსი | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 15 | ტყისმცველი | 4 | 1000 | 12000 | 48000 |
| 16 | მეველე | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 17 | კანტორის შიკრიკი | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| | სულ | 30 | — | — | 454440 |
| | **2) მევენახეობა და მარანი:** | | | | |
| 1 | მევენახე მეღვინე | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 2 | მეკასრე (ბონდერი) | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 3 | მეღვინეს თანაშემწე | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 4 | მარნის მუშა I კატეგორიისა | 1 | 1250 | 15000 | 15000 |
| 5 | მარნის მუშა II კატეგორიისა | 2 | 1200 | 14400 | 28800 |
| 6 | ვენახის მუშა I კატეგორიისა | 26 | 1150 | 13800 | 358800 |
| 7 | ვენახის მუშა II კატეგორიისა | 24 | 1000 | 12000 | 288000 |
| | სულ | 56 | — | — | 750600 |
| | **გ. სახელოსნოები.** | | | | |
| 1 | მემანქანე ზეინკალი | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 2 | მჭედელი | 1 | 1400 | 16800 | 16800 |
| 3 | დურგალი | 1 | 1400 | 16800 | 16800 |
| 4 | მეჩაქუჩე (კვერის დამკვრელი) | 1 | 1150 | 13800 | 13800 |
| 5 | მეღუმელე | 1 | 1250 | 15000 | 15000 |
| | სულ | 5 | — | — | 804000 |
| | სულ მამულს | 91 | — | — | 1285440 |
| | **„ვარცხი“-ს სახელმწიფო მამული.** | | | | |
| | **ა) გამგებლობა.** | | | | |
| 1 | მოურავი | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 3 | ბუხჰალტერი | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| 4 | კანტორის მოხელე | 2 | 1650 | 19800 | 39600 |
| 5 | მოანგარიშე | 1 | 1800 | 21600 | 21600 |
| 6 | სამეურნეო ნაწილის გამგე ნოქარი | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 7 | ფერშალი | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 8 | მეეტლე, მეურმე, მეფურგუნე | 6 | 1200 | 14400 | 86400 |
| 9 | ექიმი | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 10 | ბაღის დარაჯი | 4 | 1175 | 14100 | 56400 |
| 11 | მეჯინიბე | 5 | 1100 | 13200 | 66000 |
| 12 | მეეზოვე და კანტორის შიკრიკი | 2 | 1100 | 13200 | 26400 |
| 13 | მწყემსი | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 14 | ხაბაზი | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 15 | ბინების მსახური | 2 | 1100 | 13200 | 26400 |
| 16 | მოსარეცხე დედაკაცი | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 17 | საავადმყოფოს მოსამსახურე | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 18 | ტყისმცველი | 2 | 1000 | 12000 | 24000 |
| | სულ | 34 | — | — | 537000 |

1920 წ. ივნისის 7-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## ბრძანება

**ტფილისის კომენდანტისა.**

29 ივლისი, 1920 წ. № 11.

1. მოვაგონებთ, რომ უმცროსების მიერ უფროსების თანდასწრებისას სამხედრო სამსახურის, დისციპლინის და საზოგადოებრივი მყუდროების დაუცველობისათვის, უფროსი ვალდებულია დაუყონებლივ მიიღოს ზომები წეს რიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოში შეტყობინებით.

2. შემჩნეულია, რომ უმრავლესობა ოფიცრებისა და ჯარის კაცებისა არ იცავენ მისალმების წესს და ზოგიერთნი არც კი ესალმებიან ერთი-მეორეს. დისციპლინა შეადგენს ყოველივე ჯარის ფუძეს, უიმისოდ სამხედრო საქმეს არ შეუძლია არსებობა. აწინდელ დროში დაცვა მტკიცე სამხედრო დისციპლინისა დაბეჯითებით აუცილებელია. თუ ყოველივე საქმისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს წესიერება, ოფიცრისათვის მარტო ესეც არ კმარა, მას ესაჭიროება კეთილშობილობა: ის მოქმედობს ადამიანზე, ცოცხალ სულზედ და პასუხისმგებელია მასში, რომ ეს ადამიანი გახდეს თავისი საქმეს მცოდნე ჯარის კაცად, სამშობლოს საბჯენ სვეტად, მოვალეობისათვის თავდადებულობის გამწევათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ოფიცრებისაგან მუშაობა მოითხოვს მის მაღალ საქმეში თავის სულის ჩადგმას და ჭეშმარიტ კეთილშობილურ განმზადებას ყოველივე საქმის აღსასრულებლად, რათა თავისი სამსახურით იყოს მაგალითის მაჩვენებელი ჯარისკაცთათვის. აუცილებელია სამხედრო მოსამსახურეთა შორის მხედრული დისციპლინის საძირკვლების, როგორც მხედრული სულის და სწორი სამხედრო შემეცნების და მოვალეობის განვითარების და განმტკიცების ნამდვილი საშუალების გასამაგრებლათ ცდა. ურყევათ უნდა მოითხოვოს, რომ, როგორც ოფიცრები, ისე ჯარის კაცებიც ყურადღებით ექცეოდენ მისალმებას და რომ, ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებით-კი, ქუჩაში გამოსვლისას, უნდა იყვნენ კოხტად და ფორმაზედ ჩაცმულნი. ფორმის უხეშობა წარმომდინარეობს არა იმდენად ჯარის კაცის არა კოხტად და უსუფთაოდ ჩაცმის სურვილიდან, რამდენად საქმის შინაარსის გაუგებრობისაგან და სათანადო ყურადღების უქონლობისაგან ოფიცრების მხრივ. სამსახურის მოვალეობა მოითხოვს თითეულ ოფიცრისაგან გააჩეროს არა ფორმაზედ ჩაცმული და შვებულების ნებართვას მოკლებული ჯარის კაცი და მოაგონოს მას წეს რიგი, ამასთან ერთად ამის შესახებ შეატყობინოს მათ პირდაპირ უფროსებს და ასეთები თავის ნაწილში დააბრუნოს.

ტფილისის კომენდანტი გენერალი **მიქაშავიძე.**

## განკარგულებანი

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.**

23 ივლისი, 1920 წ., № 224.

**დაინიშნოს:** საკრედიტო ნაწილში ბუჰლალტერის თანაშემწედ სერგო ნიკოლოზის ძე მაჩიტაძე ამა 1920 წლის 15 ივლისიდან.

30 ივლისი 1920 წ., № 226.

**დაინიშნოს** ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ნაწილის საქმის მწარმოებლად ტფილისის საბაჟოს მოლარის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი იასონ სპირიდონის ძე აბესაძე ამა წლის აგვისტოს პირველიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

**ხ. ავალიანი.**

**მიწათ-მოქმედების და გზათა მინისტრისა.**

17 ივლისი, 1920 წ., № 7404.

მივდივარ რა მთავრობის ნებართვით დასასვენებლად ჩემის მოვალეობის შესრულებას ა. წ. 18 ივლისიდან ვანდობ:

1) მიწათ-მოქმედების სამინისტროში მინისტრის ამხანაგს ისიდორე მათეს ძე მალანიას და 2) გზათა სამინისტროში გზათა დეპარტამენტის დირექტორს ბესარიონ ალექსის ძე ჭიჭინაძეს.

მიწათ-მოქმედების და გზათა მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

**ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამართველოს უფროსისა**

12 ივლისი, 1920 წ.

**გამწესებულნი არიან:** მოქალაქე ადოლფ ციგანტი მაღალი ჯამაგირით ზედამხედველად ქუთაისის კანტორაში; ყოფილი ფოსტალიონები: ივანე მამულოვი, მელიტონ ჯიქია, გიორგი ნიჟარაძე და მოქალაქე ესტატე-დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტრი თულაშვილი მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ: ჯიქია—არდაგანში, თულაშვილი გორში; ყოფილი ფოსტალიონი ბაბილინა გენძეხაძე და ყოფილი მოხელეები: ლუბა ტორონჯაძე, არმენაკ დუშუაშვილი, ნინო ჩიტანავა, ვასილ გულიშვილი მოხელეებათ: გენძეხაძე—ქუთაისში, ტორონჯაძე—სამტრედიაში, ჩიტანავა ფოთში, გულიშვილი ცხინვალში და დუშუაშვილი ტფილისის ტელეგრაფში მესამე ხარისხით; გულიშვილი 16 ივნისიდან, მამულოვი 8 ივლისიდან, ციგანტი 12 ივლისიდან, დუშუაშვილი 13 ივლისიდან, ჯიქია 16 ივლისიდან, დანარჩენნი 21 ივლისიდან 1920 წ.

**დანიშნულნი არიან:** ბორჯომის კანტორის უფროსი კონსტანტინე ჯაფარიძე ქუთაისის პირველი კლასის კანტორის უფროსად, ქუთაისის კანტორის უფროსი ზაქარია დოლიბაში თანახმად თხოვნისა პირველი ხარისხის მოხელეთ ახალციხეში, პირველი ხარისხის მოხელე სამმართველოისა ალექსანდრე მეზურიშვილი ბორჯომის მეორე კლასის კანტორის უფროსათ, ტფილისის ფოსტალიონი გურია ყიფიანი მეექვსე ხარისხის მოხელეთ შულავერში, პირველი ხარისხის მოხელე ქუთაისის კანტორისა ნიკოლოზ კირცხალია იმავე კანტორის უფროსის თანაშემწეთ; ქუთაისის კანტორის უფროსის თანაშემწე მელქისედეკ გვინჩიძე პირველი ხარისხის მოხელეთ იმავე კანტორაში; ქუთაისის კანტორის მესამე ხარისხის მოხელე დავით შავგულიძე, სიღნაღის მეხუთე ხარ. სოფიო დავმოცევა, მეოთხე ხარ. ლევან ღლონტი და ფოსტალიონები: ხაშურის—ვასილ ტაგაშვილი, ლომსაძე, დუშეთის ნიკოლოზ არაქელოვი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ იმავე დაწესებულებაში: შავგულიძე მეორე ხარისხით, ღლონტი მესამე ხარისხით, კიკილაშვილი და დამოცევა მეოთხე ხარისხებით, ტაგანაშვილი და არაქელოვი მეექვსე ხარისხებით. ტაგანაშვილი 12 ივლისიდან, არაქელოვი და შავგულიძე 21 ივლისიდან დანარჩენნი 16 ივლისიდან 1920 წლ.

**გადაყვანილნი არიან:** ზედამხედველები: ნანურის ლევან ჯალაბაძე და ფასანაურის სევერიან მეფარიშვილი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: დუშეთის მეხუთე ხარ. კლიმენტი ყურუა, ხაშურის მეხუთე ხარ. სოფიო ტატიევა, ცხინვალის მეექვსე ხარ. არჩილ მუნჯიშვილი და ფოსტალიონები: შულავერის ნიკოლოზ პაპუხაშვილი, მცხეთის ალექსანდრე მანგიაშვილი, გორის ივანე—აბულაძე, კოჯორის არუთინა ჩობანოვი იმავე წოდებებით: ჯალაბაძე—ფასანაურში, ტატიევა—ზესტაფონში, მანგიაშვილი — დუშეთში, ჩობანიანცი—შულავერში, აბულაძე—ტფილისის ფოსტაში, მუნჯიშვილი ტფილისის ტელეგრაფში, მეფარიშვილი ანანურში, ყურუა—გალში, პაპუხაშვილი—კოჯორში; ჩობაიანცი და პაპუხაშვილი 13 ივლისიდან, მანგიაშვილი, აბულაძე და ყურუა 21 ივლისიდან, მუნჯიშვილი 17 ივლისიდან, ჯალაბაძე, ტატიევა და მეფარიშვილი 16 ივლისიდან, ხოლო ტატიევა, მანგიაშვილი, ჩობანიანცი, აბულაძე, ყურუფა და პაპუხაშვილი თანახმად თხოვნებისა. ჯალაბაძე, მუნჯიშვილი და მეფარიშვილი სამსახურის სასარგებლოდ.

**დათხოვნილნი არიან სამსახურიდან:** მესამე ხარ. მოხელე ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა დიონისი ბარუეცკი, ზედამხედველი ბაშკიჩეთის განყოფილებისა პოლიხრონ ნიკოლაიდი, უფროსი მექანიკოსი ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა სიმონ გუშჩინსკი, უმცროსი მექანიკოსის თანამდებობის აღმასრულებელი იმავე კანტორისა ივანე ნიკონოვი თანახმად თხოვნებისა; ბარუეცკი 14 ივლისიდან, ნიკოლაიდი 16 ივლისიდან და გუშჩინსკი და ნიკონოვი 13 ივლისიდან 1920 წ.

სამმართველოს უფროსი **მჯელაძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

### საქართველოს მისია პოლონეთში.

გადაიდოს პოლონეთში გასაგზავნ საქართველოს მისიის საჭიროებისათვის ერთი მილიონი მანეთი, რის შესახებ დამფ. კრებაში სათანადო დეკრეტი იყოს შეტანილი.

### პირდაპირ გადასახადების გადიდება.

ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი პროექტი არსებულ პირდაპირ გადასახადის გადიდების შესახებ მთავრობამ მოიწონა. დადგენილია ეს დეკრეტი სასწრაფოდ იყოს წარდგენილი დამფ. კრებაში.

### ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა.

ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილია სია ფუფუნების საგნებისა, რომელთა შემოტანა საზღვარ გარეთიდან უნდა აიკრძალოს. სათანადო დეკრეტი შეტანილი იყოს დამფ. კრებაში.

### ზარალის ანაზღაურება.

სამხედრო ფონდიდან აღედგინოს ზარალი კანტრიმის მახრისა და ქვედა-აჭარის მცხოვრებთ. ეს ზარალი 1 მილ. მანეთს უდრის.

### სენატორებისათვის ჯამაგირის მომატება.

სენატორების ჯამაგირის გადიდება მოხდეს იმავე წესით, როგორც ხდება მუშებისა და რესპუბლიკის ყველა მოსამსახურის ჯამაგირის გადიდება.

### რუსულ საზოგადოების სამუსიკო ქონება.

ტფილისის კონსერვატორიის ყველა მოძრავი და უძრავი ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდეს.

### თამბაქოს გატანა.

ნება დაერთოს სათანადო ბაჟის გადახდის შემდეგ ინგლისის ფირმათა წარმომადგენლებს საზღვარ გარეთ თამბაქოს გატანისა. ბაჟის რაოდენობის გამორკვევა მიენდოს მომარაგების მინისტრს.

### საავადმყოფოების გადაცემა.

გადაეცეს ერობების და ქალაქების თვითმართველობებს ყველა სამხედრო საავადმყოფო, რომლებიც არსებობს თანახმად 1919 წლის ივლისის 31 კანონისა. სამხედრო სამინისტროს ქალაქებისა და ერობების თვითმართველობებმა ლოგინების განსაზღვრული რაოდენობა დაუთმოს. საავათმყოფოების გადაცემა შინაგან საქმეთა მინისტრს მიენდოს.

### ქალთა საბებიო ინსტიტუტი.

ქალთა საბებიო ინსტიტუტის ადმინისტრაციას ლექტორების დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხა მიეცეს.

### ბრძოლა ეპიდემიასთან.

შინაგან საქმეთა მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს მიენდოს დასკვნის გაკეთება იმ თანხის საკითხის შესახებ, რომელიც ეპიდემიასთან საბრძოლველად უნდა გადაიდვას.

### დახმარება ქალ. ონს.

მიეცეს ქ. ონს 5 წლის ვადით 3%-იანი 3 მილ. მანეთი სესხი. სესხი უზრუნველყოფილია ქ. ონის უძრავ ქონებით. სათანადო დეკრეტი შეტანილ იყოს დამფ. კრებაში.

### დახმარება სიღნაღს.

მიეცეს ქ. სიღნაღს 2 წლის ვადით $3\frac{1}{2}$ %-იანი 2 მილ. მან. სესხი.

### სესხი გორს.

მიეცეს ქ. გორის სამაზრო ერობას საამშენებლო მუშაობის დასაწყებათ 20 მილ. მან. უპროცენტო სესხი და გორის ქალაქის თვითმართველობას იმავე საჭიროებისათვის 14.050,400 მან. გარდა ამისა გიმნაზიის შესაკეთებლად და მოსაწყობად 350.000 მან.; სათანადო დეკრეტი დამფ. კრებას წარედგინოს.

### დახმარება ბ. ჭიჭინაძეს.

ერთდროული დახმარების სახით გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორს საექიმოდ მიეცეს 50.000 მან.

### 1919 წლის მაისის 20 კანონი.

სამხედრო მინისტრის მოხსენება 1919 წლის მაისის 20 კანონის შეცვლის შესახებ, რომელიც ოჯახის მარჩენალს და ასეთ ოჯახებზე დახმარების აღმოჩენას ეხება, დადგენილია გაუქმდეს ამ კანონის მოქმედება, 2) იმ ოჯახებს, რომელთა ერთად ერთი მარჩენელი გაწვეულია ჯარში, აღმოეჩინოს დახმარება. ერთი ნაწილი ამ დახმარებისა გაიღოს სახელმწიფო ხაზინამ, მეორე ნაწილი კი ერობების და ქალაქის თვითმმართველობებმა. იმ შემთხვევაში თუ ერობას არ შეუძლიან თანხის გაღება, მან ოჯახებს ნატურით უნდა აღმოუჩინოს დახმარება. სათანადო დეკრეტი დამფ. კრებას წარედგინოს.

# თავდაცვის საბჭო

### ელექტრონის სადგური არსენალში

თავდაცვის საბჭომ მოისმინა საკითხი არსენალის სადგურისთვის 4.500.000 მანეთის გადადების შესახებ დაადგინა: ამ ფულების გადადების საკითხი გადასწყვიტოს მთავრობამ.

### ხე-ტყე ბათომის ციხე-სიმაგრისთვის

თავდაცვის საბჭომ გადასწყვიტა ბორჯომის სახერხი ქარხნიდან 50.000 კუბ. გოჯი ხე-ტყის მასალა გადასცეს სახაზინო ფასებში ბათომის ციხე-სიმაგრეს.

# სომხეთის ნოტა ჩიჩერინისადმი

სომხეთის საგ. საქმეთა მინისტრმა მიმართა ჩიჩერინს დეპეშით, სადაც აღნიშნავს, რომ სომხის ხალხს შეუძლია იყოს რუსეთის მთავრობის მადლობელი მეგობრობის გრძნობისა და იმ მისწრაფებისათვის, რომელიც მას სურს გამოიჩინოს სომხეთის სიწყნარისა და მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში. სამწუხაროდ სომხეთის მთავრობა იძულებულია დაადასტუროს, რომ რუსეთის მიერ განცხადებული მეგობრობა სავსებით არ მართლდება. საბჭოთა ჯარების ჩვენთვის და საერთოდ ისეთ უდავო ტერიტორიაზე ყოფნა, როგორიც ზანგეზურია ხელს უწყობს სომხეთსა და ადერბაიჯანს სისხლის მღვრელ კონფლიქტის გამოწვევას. სომხეთის მთავრობა იმედოვნებს რომ თქვენ გაიყვანთ ჯარებს ყაზახ, ყარაბახ და ზანგეზურის რაიონებიდან.

ჩემი მთავრობა მწუხარებით აღნიშნავს, რომ მოსკოვში ორი თვის მოლაპარაკებამ ჩვენ და თქვენ წარმომადგენელებს შორის ვერავითარ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ჩვენ ვიღებთ თქვენი მთავრობის წინადადებას მოსკოვიდან სომხეთში მოლაპარაკების გადმოტანის შესახებ, ამასთანავე ეგზავნება სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარე ლეონ შანთს მიწერილობა, რომ დელეგაცია სომხეთში დაბრუნდეს. დელეგაციის სომხეთში ჩამოსვლისა და მისგან დაწვრილებითი მოხსენების გაკეთების შემდეგ, მთავრობა მზათ იქნება მოსალაპარაკებლად მიიღოს თქვენი დელეგატები.

# სომხეთი და რუსეთი

სომხეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მთავრობის თავმჯდომარე მ. ოგანჯანიანმა. მოხსენებაში იგი ვრცლათ შეეხო სომხეთის რუსეთთან დამოკიდებულებას. დღეს-დღეობით, განაცხადა პრემიერმა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა რუსეთისა და ოსმალ ნაციონალისტთა ლიდერ მუსტა ქემალ-ფაშის შორის მართლაც არის დადებული ხელშეკრულებაო. ამის დამამტკიცებელია ის ამბები, რომელიც მოხდა სომხეთის ტერიტორიაზე რუსეთ ოსმალოს ხელშეკრულების განსამტკიცებლად. სომხეთის ხალხს ამდენხანს ბრმათ სწამდა, რომ მის გარშემო შექმნილ საშინელ პირობებისაგან მას იხსნიდა რუსეთი. ეს დიდი შეცდომა გამოდგა, მაგრამ რატომ ხდება რომ რუსი კომუნისტები სომეხ ბოლშევიკებთან ერთად, ანუ ადერბეიჯანში მყოფი ნაწილები წითელი არმიისა ეხმარებიან ადერბეიჯანის ინტრიგანებს. რა არის მიზეზი იმისა, რომ ადერბეიჯანის კომუნისტური ცენტრი ასე ლამობს სომხეთის განადგურებას? პასუხი ამ კითხვაზე ნათელია.

ის ჩამარხულია სწორედ იმ ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია კომუნისტებისა და ოსმალეთის ნაციონალისტებს შორის. რომ სისწორით გავიგოთ მიზნები სომხეთის ტერიტორიაზე მომხდარ ამბებისა, უნდა ნათლად გავარკვიოთ როლი ადერბეიჯანისა და ოსმალეთისა და აგრეთვე რუსეთისაც—განსაკუთრებით კი რუსეთისა. საბჭოთა რუსეთი, რომელიც დაუმეგობრდა პანისლამიზმს, თავის მიზნების განხორციელების გზაზე შეხვდა სომხეთს და უნდა, რათაც არ უნდა დაუჯდეს მოიცილოს იგი. ამ მუშაობის ნაყოფი კი ჩვენ თვალწინაა. შეიარაღებული ძალები შევიდენ ყარაბახში და ზანგეზურში შეიძლება ხვალ-ზეგ ჩვენი ტერიტორიის სხვა ადგილებშიც მოხდეს აჯანყებები. რა უნდა ვქნათ ამ გართულებულ მდგომარეობის გამოსაკეთებლად და რუს-ოსმალოს საშიშროების თავიდან ასაცილებლად. რასაკვირველია, შესაძლებელია საამისო ვრცელი გეგმის შედგენა, მაგრამ პირველ ყოვლისა მე უნდა განვაცხადო, რომ ყველაზე დიდი საფრთხე თვით სომხების რუსოფილობაშია. ეს გრძნობა უეჭველად უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი ხალხის გულიდან. უნდა შევსცვალოთ სომხის ხალხის ფსიქიკა და მისი ცრუ მორწმუნეობა. ეს კი ძლიერ ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცებასა და მის დამოუკიდებლობის დაცვას. ხალხი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ რუსეთი დაუმეგობრდა სომხის ერის უსაშინელეს მტერს—ოსმალეთს და რომ სომხეთზე თავდაცემის მიზანია გზა გაეხსნას იმპერიალისტურ და დესპოტიურ რუსეთს ოსმალეთისაკენ. დეე, შეიგნოს სომხეთის ხალხმა, რომ დამბლა დაცემულ, გალატაკებულ და მშიერ რუსეთს არას დროს არ უფიქრია სომხეთის ხსნაზე.

ამასთანავე მთავრობამ ზომები უნდა მიიღოს რესპუბლიკის ტერიტორიის დასაცავად ყოველგვარ მტერთა თავდასხმისაგან.

# უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

### გენ. ვრანგელის განცხადება

„ვეჩ. პრესა" გენ. ვრანგელის შემდეგ ოფიციალურ განცხადებას აქვეყნებს: სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალების მთავარსარდალი აძლევს რა ნებართვას ლტოლვილებს ყირიმში დაბრუნებისას, უბრძანებს კონსტანტინოპოლში მყოფ თავის წარმომადგენელ ლუკომსკის აცნობოს ყველა მათ, რომლებსაც სურვილი აქვთ ყირიმში დაბრუნებისა, რომ ყირიმში მეტად დიდი სიძვირეა, თავისუფალი ბინები იშოვება, არ არის საკმარისი სურსათი და იმ შემთხვევაში, თუ ფრონტზე გართულება მოხდა, არც მოკავშირენი და არც მთავარსარდლობა მათი ხელახალი ევაკუაციის მოხდენის გარანტიას არ იძლევა, ამიტომ თუ კი ვინმესათვის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს ყირიმში დაბრუნება, უკეთესი იქნება, თუ დროებით დარჩება საზღვარ გარეთ, ყოველ შემთხვევაში, იმ დრომდე სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა მდგომარეობა სამხრეთ რუსეთში. თანახმად ამ ბრძანებისა სათანადო ინსტრუქციები მიეცათ კონსტანტინოპოლის, ბულგარეთის და სერბეთის ლტოლვილთა განყოფილებების რწმუნებულებს, ბრძანებაში აღნიშნულია, რომ სევასტოპოლში ლტოლვილების გადმოსხმა აკრძალულია. არ შეიძლება აგრეთვე ლტოლვილების ჩასახლება: სიმფეროპოლში, ფეოდოსიაში და კერჩში. ლტოლვილთა დაბანაკება შეიძლება პატარა ქალაქებში, სოფლებში და გერმანელების კოლონიებში. მათი განაწილება ევალება სიმფეროპოლის გუბერნიის რწმუნებულს. პირველ რიგში ყირიმში დაბრუნება შეუძლიათ სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს, მეორე რიგში იმ მოქალაქეთ, რომლებიც ყირიმთან მატერიალურად არიან დაკავშირებულნი.

### ინგლისი და რუსეთი

ინგლისური პრესა არკვევს რუსეთიდან დაბრუნებულ ბრიტანეთის მუშათა დელეგაციის ცნობებს. ვესტმინსტერის გაზეთს, სხვათა შორის, დელეგაციის მოხსენებიდან შემდეგი ადგილი მოყავს: „ჩვენ მოვდიოდით რუსეთში დიდ ინტერესით და არავითარი წინასწარი განზრახვა არა გვქონია. მაგრამ დავბრუნდით უკმაყოფილონი და განცვიფრებულნი, ის, რაც ჩვენ რუსეთში ვიხილეთ, არ არის არც სოციალიზმი და არც კომუნიზმი. საბჭოთა წესწყობილებას არა აქვს უფლება პოლიტიკური აზრით თავის თავს დემოკრატიული წყობილება უწოდოს. თუმცა კი თვით ბოლშევიკები დემოკრატიულ პრინციპს მოძველებულად სთვლიან. ისინი ლაპარაკობენ პროლეტარიატის დიქტატურაზე, მაგრამ არსებითად იქ არის კომუნისტების დიქტატურა. ესე იგი იმ პარტიის დიქტატურა, რომელშიაც 600,000-მდე წევრი ირიცხება. ამ რიგად რუსეთში არსებობს დიქტატურა განსაზღვრულ პარტიისა, რომელსაც შეუზღუდველ უფლებით აღჭურვილი რამდენიმე პირი მეთაურობს.

### ქაღალდის სიმშილობა

ევროპაში ქაღალდის დიდი სიმშილობაა. ბევრ ქალაქებში ქაღალდის უქონლობის გამო გაზეთები იხურება, ამის გამო კანადაში შედგა ქაღალდის ტრესტი, რომელსაც მიზნათ აქვთ წლიურათ ბაზარზე გამოუშვას არა ნაკლებ 150,000 ტონი ქაღალდისა, მთავარ ბაზრად დასახულია ევროპა.

### რუსეთის ეკონომიური ცხოვრება

სასურ. საქმის კოლეგიის წევრი ხვიდერსკი „ეკონ. ჟიზნ. კოოპერაციის საკითხის შესახებ სწერს: მას შემდეგ, რაც ჩვენ ცხოვრებაში გავატარეთ დეკრეტი მარტის 20-ს კოოპერაციის ტეხნიკური აპარატი გადიქცა ცოცხალ ლეშათ, უპატრონო ქონებათ, რომელიც სასურსათო ორგანოების საშუალებით, რაც შეიძლება საჩქაროთ უნდა ჩაიბაროს საბჭოთა მთავრობამ. ამის წინაალმდეგ „პრავდაში" ილაშქრებს სოლცი, რომელიც ამბობს, არ არის საჭირო ხელების დაბანა მხიარულად მას შემდეგ, რაც ერთი წლის მუშაობის შემდეგ აღმოჩნდა ლეში, რომელიც საბჭოთა მთავრობას მილიარდები დიუჯდა".

### მრეწველობა იტალიაში

იტალიის მრეწველებმა მოაწყვეს მთავრობის დახმარებით იტალიის მრეწველობის მცურავი იარმუკა. იგი უნდა ეწვიოს ხმელთა შუა ზღვის ყველა დიდ ნავთსადგურის. იარმუკისთვის დანიშნულია დღეები გენუაში, მარსელში, ბარსელონში, ლისაბონში, ტანჟირში და სხვაგან.

### გერმანია და რუსეთი

გერმანიაში ბერგინეს კორპუსს უკან დახევის შემდეგ იარაღი აჰყარეს. გერმანელები მათ არა როგორც სამხედრო ტყვეებს, არამედ როგორც მოკავშირეებს ისე ექცევიან. სარდლობა რუსის გენერლის ხელშია; მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობს მრავალი ოფიცერი, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ყველა სამხედრო ხარისხი და ორდენი. ჯარისკაცებში დიდი აგიტაციაა რუსეთში მეფობის აღდგენის სასარგებლოდ. გაზ. „ფრაიჰაიტი" მთავრობისა და საზოგადოების სერიოზულ ყურადღებას აქცევს იმ საშიშროებას, რომელსაც წარმოადგენს ასეთი სამხედრო ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაშივე აღმოუჩენს დიდ დახმარებას ყოველგვარ ახალ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლას და კატეგორიულად მოითხოვს კორპუსის დაშლას.

### გერმანიის ქონება

გერმანიის მთავრობის შეკითხვაზე, თუ რა ბედი ეწვია გერმანელების ქონებას იმ კოლონიებში, რომელნიც ინგლისის ხელში გადავიდენ, მიღებულია პასუხი, რომლის ძალითაც გერმანელებს ეკრძალებათ ამ კოლონიებში ჩასახლება. ინგლისის მთავრობა იღებს სასტიკ ზომებს, რათა თავისი გავლენა შეინარჩუნოს ირლანდიაში. ჩრდილოეთის საგრაფო ოლსტერში ყოველდღე მოდის აუარებელი ჯარი. ყველა სტრატეგიულ ადგილში აკეთებენ თხრილებს და სდგამენ ზარბაზნებსა და ტყვიის მფრქვეველებს.

### ბუქარესტის მთავრობა

მიღებულ ცნობების თანახმად მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს მკაცრი ზომები პროფესიონალურ კავშირებისა და სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის წინააღმდეგ. მთავრობამ დაადგინა დახუროს ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი.

### კრასინი და ჩიჩერინი

გაზეთი „დე-ლოსანი" იუწყება: კრასინმა ლონდონიდან გამოსვლის წინ მიიღო ჩიჩერინისაგან შემდეგი რადიო დეპეშა: „ჩვენ შორის დამოკიდებულება უვარგისია. ჩვენ ამგვარ დამოკიდებულების დროს, განვიცდით უარეს მდგომარეობას, ვინემ ეს იქნებოდა მაშინ, რომ თქვენთან სრულებით არავითარი კავშირი არ გვქონოდა. ჩვენ არ ვიცით შედეგები თქვენი მუშაობისა და წარმოდგენა არა გვაქვს ლონდონში არსებულ მდგომარეობაზე. ასეთ პირობებში მოლაპარაკების განგრძობა შეუძლებელია. ყველა გადაწყვეტილება თქვენ მიერ მიღებული და თქვენი განცხადებანი უნდა შეჩერდეს. უსათუოდ შეაჩერეთ გადაწყვეტილებანი, რომელნიც რუსეთის ფინანსიურ ვალდებულებათ ეხება.

### ლიტვის რესპუბლიკა

დეპუტატმა კესირისმა განაცხადა: „ჩვენ გვსურს შევქმნათ ლიტვის რესპუბლიკა, სადაც უნდა შევიდეს ქალაქი ვილნო და კოვნო. მინსკზე ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიებს. ამავე საკითხის შესახებ დეპუტატი სლიაჟევიჩი აცხადებს: ვილნო და მისი ოლქი იმყოფება ლიტვის რესპუბლიკის უდავო ტერიტორიაზე და ამიტომ პლებისციტი საჭირო არ არის. მართლმადიდებელმა ბელორუსიამ სხვისგან დამოუკიდებლად უნდა გადასწყვიტოს თავისი ბედი.

## ახალი ამბები

**ბათუმის ქარხნების დათვალიერება.** ბათომის ოლქში გაემგზავრა საგანგებო კომისია სამთო-მადნო სამმართველოს უფროს ინჟენერ ყიფშიძის მეთაურობით. ეს კომისია დაათვალიერებს კვარცხანის, ძანსულის, ქაბესის სპილენძის ქარხნებს.

**ბათომის მრეწველობის პერსპექტივები.** ფინ. სამ. სავაჭრო სამრეწველო განყოფილების უფროსი ვ. გუნცაძე, რომელმაც ბათომის სამრეწველოები დაათვალიერა, აღნიშნავს, რომ საჭიროა სასწრაფო ზომები იქნეს მიღებული ძანსულისა და კვარცხანის ქარხნების აღსადგენათ. ამ ქარხნებს მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებათ რესპუბლიკისათვის.

**სასტუმრო „ჩრდილოეთის ნომრები".** მთავრობამ განიხილა რა საკითხი მადათოვის მიერ სასტუმრო „ჩდილოეთის ნომრების" წართმევის შესახებ, დაადგინა: ქალაქის თავის განკარგულება აღნიშნულ სასტუმროს მეპატრონეთაგან ჩამორთმევისა და მადათოვზე გადაცემის შესახებ გაუქმდეს, როგორც არა კანონიერი. სასტუმრო მთელი თავისი მოწყობილობით და ოთახებით გადაეცეს თავის პატრონებს სიხარულიძეს და ზელცერს. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა.

**კანონპროექტი ბინებზე უდიდეს ფასის დაწესების შესახებ.** იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი დეკრეტისა ბინებზე და სადგომებზე უდიდეს ფასის დაწესების შესახებ. პროექტი განსახილველად გადაეცა მთავრობას. ეს საკითხი დამფ. კრების ადგილობრივ მართველობის კომისიის ინიციატივით აღიძრა. პროექტი ითვალისწინებს ქირის მომატების უფლებას დღიდან დამფ. კრების მიერ დეკრეტის მიღებისა იმ ბინებზე, ოთახებზე, კუთხეებზე და სადგურზე, რომლებიც დაქირავებული აქვთ სახელმწიფო, საზოგადო, საქველმოქმედო და პოლიტიკურ ორგანიზაციებს ან პროფესიონალურ დაწესებულებებს. ქირის მომატება 1917 წლის იანვრის პირველამდე არსებულ ქირასთან შედარებით შეიძლება განსაზღვრულ ნორმით, ამასთანავე იმ ბინების ქირა, რომლებიც სავაჭრო, ან სახელმწიფო დაწესებულებებს აქვთ აღებული, შეიძლება გაორკეცდეს. გამონაკლისს შეადგენს ბათომი, სადაც ქირის მომატება აკრძალულია. დეკრეტის პროექტს გათვალისწინებული აქვს, რომ დამფ. კრების მიერ დეკრეტის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, ქირის შეცვლის უფლება ეძლევათ ქალაქებში ქალაქის თვითმართველობებს და ქალაქებს გარეშე კი, სამაზრო ერობის ხმოსანთა კრებას. პროექტს გათვალისწინებული აქვს აგრეთვე, რომ მეეზოვების, ჯარის კაცების, ეზოს განათებისა და სახლის წინა ადგილას განათებისათვის საჭირო თანხა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადახდეს ბინის დამქირავებლებს. სახლის პატრონს ევალება აგრეთვე ბინების, წყალსადენის და სხვ. შეკეთება. ოთახის ქირა ისაზღვრება მთელი ბინის ფასთან შედარებით; ამას მიემატება ათი პროც. ავეჯეულობის ხმარებისათვის დამქირავებელს ქირის ოცდა ხუთი პროც. გადახდება. ოთახის დამქირავებელს უფლება აქვს ისარგებლოს სამზარეულოთი, თუ იგი დამატებით ოთახის ქირისა ხუთმეტ პროცენტს გადაიხდის.

**ბრძოლა ხორცზე სპეკულიაციასთან.** ტფილისის ქალაქის საბჭომ ივლისის 30 ს სხდომაზე დაადგინა: გამორკვეულია, რომ მეხორცენი განზრახ კლავენ საქონლის მცირე რიცხვს და იღებენ ზომებს საქონლის რაც შეიძლება მცირე რიცხვის მოსარეკათ. ამისათვის საბჭომ დაადგინა, რომ იმ მეხორცეების დუქნებს, რომელიც 5 დღის განმავლობაში ხორცით არ ივაჭრებს მთელი ინვენტარით რეკვიზიციას გაუკეთებენ და გადასცემენ ქალაქისა და კოოპერატიულ დუქნებს, ხოლო მათ პატრონებს სრულებით აუკრძალავენ ხორცით ვაჭრობას.

**ნ. ჟორდანიას ბიუსტი.** ქალაქთა კავშირმა მიიღო ი. ნიკოლაძისაგან მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას ბიუსტი. ეს ბიუსტი ქალაქთა კავშირმა შეუკვეთა ი. ნიკოლაძეს რესპუბლიკის ქალაქებისათვის დასარიგებლად.

**ა. ჩხენკელის გამგზავრება.** დამფუძნებელი კრების სამხედრო კომ. თავჯდომარე ა. ჩხენკელი მოსაზღვრე რაზმის უფროსთან ერთად გაემგზავრა ყაზბეგში და დარიალში საზღვრისა და მოსაზღვრე რაზმის დასათვალიერებლად.

**მოწყალების დათა კავშირის წესდება.** პროფესიონალურ კავშირების საბჭომ დაადგინა დაამტკიცოს მოწყალების დათა კავშირის წესდება. ამასთანავე დაადგინეს მიმართონ წინადადებით ექიმის თანაშემწეთა საავადმყოფოებში მომუშავეთ და მოწყალების დათა კავშირებს, რათა ისინი შეერთდენ ერთ კავშირში.

**დატუსაღებულთა ულუფის გადიდება.** იუსტიციის სამინისტრომ ცირკულიარით შეატყობინა ყველა სატუსაღოების უფროსებს, რომ პატიმართ პურის ულუფა გაუდიდოს $1^1/_2$ გირვანქიდან 2 გირვანქამდე.

## ერობა

### სამაზრო ერობის მეშვიდე სესია.

ივლ. 29 დილის სხდომაზე მოისმინეს სააგრარო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა და კამათის შემდეგ დაამტკიცეს. შემდეგ საექიმო სასანიტარო მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ლომოურმა. მოხსენებაში აღნიშნულია: 1. $1/_2$ წლის განმავლობაში ყველა საექიმო რაიონებში ჩაწიშნულია 44.184 ავადმყოფი, ამათ რიცხვში 1920 წ. 17.879 ავადმყ. აქედან მალიარიით ავად ყოფილა 9.790, ამ რიცხვიდან 1920 წ. 2.476; ჭლექიანი ყოფილა 822, აქედან 1920 წ. 447 კაცი. ვენერიული ავადმყოფი ყოფილა 342, აქედან 1919 წ. 125 და 1920 წ. 217 კაცი. შემდეგ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ტფილისის მაზრაში ითვლება 90.000 სულამდე და მიწის რაოდენობა კი 3. 966 კვ. ვერსტს უდრისო. ყოველ კვადრ. ვერსტზე 32 ავადმყოფი მოდიოდა წელიწადში. თითეულ ამბულატორიაში წლის განმავლობაში გაუვლია 3.859 კაცს და დღეში კი გაუვლია 10,7 კაცს. ყოველი ავადმყოფი ჯდებოდა დაახლოვებით 45 მან. ამას გარდა ყოველ ავადმყოფზე იხარჯებოდა 12 მან. წამალი.

საღამოს სხდომაზე მოისმინეს ი. ქურდიანის მოხსენება აგრონომიულ განყოფილების მუშაობის შესახებ. გამოირკვა რომ აღბულახის, მანგლისის, საგარეჯოს, მარტყოფის და სართიჭალის რაიონებში დაარსებული ყოფილა საარგონომიო პუნქტები. საგარეჯოს რაიონში მოწყობილია საარგონომიო კაბინეტი. განზრახულია ყველა რაიონში მეტერეოლოგიურ სადგურების მოწყობა. სასოფლო-ს მეურნეო ცოდნათა გასავრცელებლად განზრახულია სპეციალურ წიგნების გამოცემის საქმის ფართოდ და სოფლებში ლექციების და საუბრების მოწყობა. გლეხებთან ამავე სხდომაზე მოისმინეს გამგეობის წევრის გოგუას მოხსენება მაზრაში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1914 წელში მაზრაში იყო სულ 4 სკოლა, რომლებშიც ასწავლიდა 74 მასწავლებელი და სწავლობდა 3.182 მოწაფე. ერთი სკოლა მოდიოდა 1.810 სულზე და სკოლის გარეშე რჩებოდა მოსწავლე ახალგაზრდობის 64 პროცენტი. ეხლა კი სულ სხვა მდგომარეობა არის: მაზრაში გაიხსნა 74 შკოლა, აქედან 3 უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ამ სკოლებში ასწავლის 102 მასწავლებელი და სწავლობს 3.942 მოწაფე. ამგვარად ერთი სკოლა მოდის 1.365 მცხოვრებზე. სკოლის გარეშე რჩება ახალგაზრდობის 37%. მაზრაში სკოლის გარეშე სწავლებისათვის დაარსებულია საღამოს კურსები შემდეგ ადგილებში: ზემო-ავჭალაში, ხაშში, ნინოწმინდაში, გიორგი-წმინდაში, საგარეჯოში და მონავში. ამ კურსებზე ორივე სქესის 300 მსმენელი სწავლობს. მომავალში განზრახულია ტფილისის მაზრა გაჰყონ 5 სასკოლო რაიონად. ამ რაიონებში მოწყობილი იქნება სამკითხველოები, კურსები, სახალხო სახლები და სხვა.

### ერობათა კავშირში.

ერობათა კავშირის გამგეობამ განსაკუთრებული ცირკულიარით მიმართა სამაზრო ერობებს იმის შესახებ, რომ მათ განუმარტონ ხალხს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს მოვალეობანი. ერობათა კომიტეტი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ძველი მთავრობა წინააღმდეგი იყო ჩვენში ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის დაარსებისა. ამიტომ შეიქნა ნიადაგი სასამართლოსადმი უნდობლობისა. საქართველოს მთავრობამ შემოიღო ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო. დემოკრატიამ ამ საქმის განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს. სამწუხაროდ ემჩნევა, რომ არჩეული ნაფიცი მსაჯულნი ცდილობენ საქმის გარჩევიდან თავის განთავისუფლებას. ამგვარი საქციელი ყოვლად გაუმართლებელია და ერობის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ ზომები და ხალხს აუხსნან ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობის საჭიროება და აუცილებლობა.

## პოლკოვ. ჰასკელის წასვლა

ივლისის 30-ს საღამოს ტფილისიდან ამერიკას გაემგზავრა პოლკოვნიკი ჰასკელი. სადგურზე გამწკრივებელი იყო საპატიო ყარაული მუსიკით. სადგურზე ჰასკელის გასაცილებლათ მოვიდენ მთავრობის თავმჯდომარის თან, ალ. სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრის თან. გენ. გედევანიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ნ. ქარცივაძე და მთავრობის სხვა წარმომადგენლები. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გ. ლორთქიფანიძემ მიმართა პოლკოვნიკ ჰასკელს მოკლე მისასალმებელი სიტყვით, რომელშიც მადლობა გადაუხადა მას იმ ყურადღებისათვის, რომელსაც იგი იჩენდა საქართველოსადმი. ე. გეგეჭკორმა მგრძნობიარე სიტყვაში აღნიშნა, რომ პოლკ. ჰასკელმა პირველმა აცნო საქართველოს მთავრობას მისი დამოუკიდებლობის ცნობა. გენ. გედევანიშვილმა ამერიკას მომავალ წარმომადგენელს მადლობა გადაუხადა იმ დახმარებისათვის, რომელიც მან გაუწია საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ძალების შეიარაღებაში და ჯარის სახელით პოლკ. ჰასკელს მიართვა ოქროს სურა და ჯულა.

პოლკ. ჰასკელმა თავის პასუხში აღნიშნა, რომ საქართველო თავისი ბრძნული პოლიტიკის წყალობით ღირსი იყო დამოუკიდებლობის ცნობისა. ამასთანავე მან აღნიშნა დიდი როლი საქართველოსი, რომელიც აზიის ჭიშკარს წარმოადგენს. ჰასკელმა აღნიშნა აგრეთვე საქართველოს მთავრობის როლი სომხეთის დახმარების საქმეში და უსურვა შეერთებული მეგობრული მუშაობა სომეხ და ქართველ ხალხს. სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა, რომელიც ამ გაცილებას დაესწრო, მადლობა გადაუხადა ჰასკელს სომხეთისათვის გაწეულ დახმარებისათვის. დასასრულ პოლკ. ჰასკელს გადასცეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ადრესი და სამადლობელი წერილი.

## მუშათა ცხოვრება

### მუშათა დელეგაცია საბჭოთა რუსეთში.

პარასკევს, ივლ. 30 გაიხსნა საქართველოს ცენტრ. პროფ. საბჭ. კონფერენცია პროვინციის პროფ. ცენტრების წარმომადგენელთა მონაწილეობით. კონფერენციას 30 მეტი დელეგატი დაესწრო. კონფერენცია გახსნა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა ა. ხელაძემ, რომელმაც განაცხადა: კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოს რუსეთსა და აზერბეიჯანში საქართველოს მუშათა კლასის წარმომადგენლების გაგზავნის საკითხი, რათა გააცნოს საქართველოს პროლეტარიატის მდგომარეობა მათ და მათი მდგომარეობა კი საქართველოს პროლეტარიატს. კონფერენციის თავმჯდომარეთ აირჩიეს ქუთაისის პროფ. კავშირის წარმომადგენელი გრ. ტუსკია. კონფერენციამ საკითხის განხილვის შემდეგ, გადასწყვიტა შეადგინოს 15 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია. დაასახელეს კანდიდატები. დელეგაციის საბოლოო შემადგენლობას დაამტკიცებენ შემდეგ სხდომაზე.

### მუშათა საექიმო დახმარება.

ივლისის 27-ს შრომის კომისარიატში შესდგა თათბირი ფაბრიკა-ქარხნების და ტფილისის ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის წარმომადგენლებისა, მუშათა საექიმო დახმარების საქმის ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის ხელში გადასვლის შესახებ. აღნიშნული საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა შრომის კომისარმა. საავადმყოფო კასის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ რა მუშათა საექიმო დახმარების საერთოდ ცუდ პირობებს, მოითხოვდენ აღნიშნული საქმე ქალაქის საერთო საავადმყოფო კასას გადასცემოდა, იმ პირობით, რომ ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლებს შეეტანათ კასაში 4% მუშათა ხელფასისა. ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები აცხადებენ რა პრინციპიალურ თანხმობას მუშათა საექიმო დახმარების საქმის ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის ხელში გადასვლაზე აღნიშნავენ, რომ ისინი ვალდებულნი არიან შეიტანონ კასაში არა 4% მუშათა ხელფასისა, არამედ 2%. მუშათა წარმომადგენლები ვერ შეუთანხმდენ დამქირავებელთ და დაადგინეს სთხოვონ შრომის მინისტრს იშუამდგომლოს შრომის სამინისტროს წინაშე, რათა შესცვალონ სათანადო მუხლები კანონისა მუშათა საექიმო დახმარების შესახებ, იმ მიზნით, რომ ეს დახმარება სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული.

## მილიციაში

რეალურ სასწავლებლის დირექტორმა ი. ფონ-ბრენერმა სისხლის სამართლის მილიციას განუცხადა, რომ მის ბინაზე ნაპერეჟნის ქ., № 19, არქივიდან მოპარეს ატესტატები და მოწმობები 1901—1920 წლებისა. ექვით მილიციამ შეიპყრო მარიამ ცხოვრებაშვილი, რომელიც თავის დანაშაულში გამოტყდა და მოპარული ატესტატები და მოწმობები გამოაჩინა.

— 27 ივლისს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გ. მოსეშვილმა განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოპარულია სხვა და სხვა საგნები ღირებულებით ასი ათასი მან. უფროს აგენტის ხ. ბარაბანიძის მიერ გამორკვევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ საგნების გამტაცებელი ყოფილა სახელმწიფო უნივერსიტეტის მოხამსახურე ი. ციცაშვილი, რომელიც მიმალულიყო და სადგურზე სოფელში მიმავალი შეიპყრეს. ციცაშვილი თავის ბოროტმოქმედებაში გამოტყდა და ამხანაგად ამ ქურდობაში მასთან ყოფილა ამავე უნივერსიტეტის მოსამსახურე ქ. დეკანოზიშვილი. მოპარული ნივთები აღმოჩენილია. დამნაშავენი დააპატიმრეს.

## განცხადებანი

1920 წ. აპრილის 15-ს ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან იქნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნასყიდობის მოწმობა გორის მაზრის წინ. შესრულებული ცხინ. ნოტ. გოცირიძისაგან, 7 თებერვალს 1920 წელს. შეძენილი მოქალაქის ივანე სტეფანის ძე კასრაძეს 140 მანეთათ, საჯარო ვაჭრობიდან, რომელიც მოხდა ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლის უბანში 10 ნოემბერში 1919 წელსა მიწის ნაკვეთი, ზომით დღენახევარ ნახნავი, რომელიც მდებარეობს ქ. ცხინვალში და რომელიც ეკუთვნოდა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ქავთარაძეს. 1105 1—1

ქ. სოხუმის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა, მიცემული ალექსანდრე თეიმურაზის ძე გაბუნიას მიერ ანდრია სამსონის ძე არჯევანიძეზე და შედგენილი სოხუმის ნოტარიუსი ზატვორნიცკისთან 1918 წ. აგვისტოს 14-ს და 17-ს, რეესტრი №№ 1085 და 1091, გაუქმებულია. 2027 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1260 ტრიფონ ოსიპის ძე პერშინის სახელზე, მიღებული მიხაილოვის სოლქო სამმართველოდან (მელიტოპოლის მაზრა, თავრიდის გუბერნია) 1909 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2056 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 1730/21629 ალექსანდრე გასპარას ძე მაგდისოვის სახელზე, მიღებული ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოდან 1907 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2057 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 800 ნიკოლოზ თედორეს ძე კახელაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2060 3—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა, ტფ. წმ ნინოს სასწავლებლის შვიდი კლასის ატესტატი და ამავე სასწავლებლის მე 8 კლ. დამთავრების მოწმობა ელენე კონსტანტინეს ასული კარგარეთელის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2052 3—1

დაიკარგა პასპორტი რუბენ არშაკის ძე ნაზარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2054 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი იოსებ სიმონის ძე მაგრაქველიძის სახელზე, მიღებული ს. ფორონეთის საზოგადოებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2055 3—1

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ტფ. მილიციის სემმართველოდან და ნამსახურობის ნუსხა, მიღებული ქართულ კონვაირო ესკადრონიდან 1919 წ.—ნიკოლოზ ზაქარიას ძე დივანიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2045 3—1

დაიკარგა მოწმობა № 921, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან მოწყობილ ოთახებზე, პასპორტი № 2525, მიღებული ალექსანდროპოლის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1917 წ. და სხვა საჭირო საბუთები, მარტიროსი აკოფას ძე შავციევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2046 3—1

დაიკარგა ტკბილეულობის ხელზე ვაჭრობის ნებართვა ალი ჯალალ-ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. ქამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2046 3—1

1920 წ. აპრილის 15-ს ტფილისის უფროსი ნოტარიუსისგან იქნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში გორის მაზრის ნასყიდობის მოწმობა შემზადებული ცხინვალის ნოტარიუს გოცირიძე მიერ 4 მარტს 1920 წელს შეძენილი მოქალაქის ზაქარია საბას ძე ასანიძემ და გიორგი იოსების ძე კანჩაშვილმა 100 მან. საჯარო ვაჭრობიდან, რომელიც მოხდა ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლის უბანში 24 თებერვალს 1920 წ. მიწის ნაკვეთი, ზომით ერთი დღის სახნავი რომელიც მდებარეობს ქალ. ცხინვალში და ეკუთნოდა ეკატერინე მიხეილის ასული ქარუმიძეს. 1105 1—1

1920 წ. აპრილის 8-ს ტფილისის უფროსი ნოტარიუსისგან იქნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში გორის მაზრისა ნასყიდობის მოწმობა. შემზადებული ცხინვალის ნოტარიუს გოცერიძე მიერ 31 დეკემბერში 1919 წელსა შეძენილი მოქალაქის დავით გიორგის ძე ოთიაშვილმა და სოლომონ დავითის ძე ჩულუხაძემ, 200 მან. საჯარო ვაჭრობიდან, რომელიც მოხდა ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლის უბანში 18 ნოემბერში 1919 წელს მიწის ნაკვეთი, ზომით 505 ოთხკუთ. საჟ. რომელიც მდებარეობს ქალ. ცხინვალში და ეკუთნოდა ერეკლე ზაქარიას ძე მაჩაბელს. 1105 1—1

ქ. ტფილისის მე-4 უბნის სასამართლოს ბოქაული ამით აცხადებს, რომ 7 აგვისტოს 1920 წელს დილის 10 საათზე მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მესროპ არზუმანიანცის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს გოგირდის სიმჟავეს (сѣрная кислота) და ბარიტბი და რომელიც დაფასებული არის 162000 მან. საჯარო ვაჭრობა მოხდება კავკასიის ბანკის შენობაში. 2039 1—1

ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან იქმნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში გორის მაზრის ნასყიდობის მოწმობა, შემზადებული ცხინვალის ნოტარიუსისაგან გოცირიძე 4 მარტიდან 1920 წელსა შეძენილი მოქალაქე ზაქარია გიორგის ძე, დავით მიხეილის ძე ილია ალექსის ძე ბაბეცაძეებმა 180 მან. საჯარო ვაჭრობიდან, რომელიც მოხდა ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლის უბანში 4 თებრვალს 1920 წელსა მიწის ნაკვეთი, ზომით 3 დღის ნახნავი რომელიც მდებარეობს ქალ. ცხინვალში რომელი ეკუთვნოდა იასონ გიორგის ძე კვანჩახაძეს. გადახდილია ბაჟი: გამოსაცხადებელი 40 მანეთი, საკანცელარიო 6 მანეთი, სიგელის 3 მანეთი, სიმტკიცის 7 მან. 20 კაპ. ამონაწერი საღერბო ქაღალდზე მიეცა 2 მანეთი. 1105 1—1

ტფილისის უფროსი ნოტარიუსისგან იქმნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნასყიდობის მოწმობა შეძენილი მოქალაქის სერგო იოსების ძე სომხიევმა 155 მანეთათ საჯარო ვაჭრობაზედ, რომელიც მოხდა ცხინ. მომრიგებელ მოსამართლეს უბანში მიწის ნაკვეთი ზომით 467 ოთხკუთხიანი საჟენი, რომელიც მდებარეობს ქალაქ ცხინვალში და ეკუთვნოდა ალექსანდრე ზაალოვის ძეს მაისურაძეს. 1105 1—1

ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან იქმნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნასყიდობის მოწმობა გორის მაზრის წიგ. შესრულებულია ცხინ. ნოტ.-რ გოცერიძისაგან 7 თებერვლიდან 1920 წელსა. შეძენილი მოქალაქის ბიგა ისაკის ძე ჯინჯიხაშვილმა 100 მანეთათ საჯარო ვაჭრობიდან, რომელიც მოხდა ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლის უბანში 18 სექტემბრიდან 1919 წელსა მიწის ნაკვეთი, ზომით სივრცეზე 12 და სიგანეზე 8 არშინი. რომელიც მდებარეობს ქალ ცხინვალში. რომელიც ეკუთვნოდა ლია მიხეილის ასულს ჯინჯიხაშვილს. 1105 1—1

ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან იქმნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნასყიდობის მოწმობა შეძენილი მოქალაქის ალექსანდრე ზაქარიას ძე მაისურაძემ 170 მანეთათ საჯარო ვაჭრობაზედ, რომელიც მოხდა ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლეს უბანში 18 ნოემბერში 1919 წელსა მიწის ნაკვეთი, ზომით სიგრძეზე 38 და სიგანეზე 10 საჟ. და მდებარეობს ქალ. ცხინვალში. რომელიც ეკუთვნოდა ვასილი დემიტრის ძე ხერხეულიძეს. 1105 1—1

1920 წ. მაისის 19-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა ჩანიშნა სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში გორის მაზრისა, ნასყიდობის მოწმობა შემზადებული ცხინვალის ნოტარ. გოცირიძისაგან 8 მაისს 1920 წელს, რომლითაც ანნა იოსების ასულმა ელიოზოვისამ შეიძინა საჯარო ვაჭრობიდან 1 ნოემბერს 1893 წელს მოხდენილი ცხინალის სასამართლოს მომრიგებელ უბანში 22 მანეთათ ნაკვეთი მიწა ზომით 5 დესეტინა მდებარე ქალაქ ცხივალში, რომელიც ეკუთნოდა ივანე ანდრიას ძე ელიოზოვს. 1116 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 107 ნერსეს არიუტინის ძე გრიკუროვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1994 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 5080 ალექსანდრე ნიკოლაიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2030 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული 2 კომისარიატიდან, მოწმობა, მიღებული სახელმწიფო თეატრის კანტორიდან, სასცენო მოღვაწეთა პროფესიონალური კავშირის წევრობის ბარათი, პასპორტი, მოწმობა და სურათი, მიღებული რუსების ნაციონალური საბჭოდან. ოვანეს სააკის ძე ზარიფიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2039 3—2

დაიკარგა პასპორტი ანა სიმონის ასული კაჩინას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2038 3—2

დაიკარგა ცხენების სამობილიზაციო კომისიის მიერ მიცემული მოწმობა № 8 აბრამ ისმაილ ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2037 3—2

დაიკარგა ცხენების სამობილიზაციო კომისიის მიერ მიცემული მოწმობა № 11 ასად მუსტაფა ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2036 3—2

დაიკარგა გაზეთებით ვაჭრობის ნებართვა № 930 ვასილი მაქსიმეს ძე შმილიოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2040 3-2

დაიკარგა სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების მოწმობ № 806 პავლე ალექსის ძე კეკიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. მაისის 24-ს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1982. 3—3

დაიკარგა პასპორტი არიუთინ სტეფანეს ძე ცატუროვის სახელზე, მიღებული სომხების საკონსულოდან ქ. ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1987. 3—3

დაიკარგა ოცი ცალი აქციის დროებითი ბარათი № 497 ალექსანდრე დიმიტრის ძე ჯავახიშვილის სახელზე, მიღებული ცენტრო ბანკიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2005 3—3

დაიკარგა სამხედრო უბანზე მიწერილობის ბარათი № 78, გარეგინ სარქისის ძე სარქისიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2006 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი მარიამ ილიას ასული ივანოვას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2014 3—2

დაიკარგა ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 1362 მირიან ივანეს ძე გურგენიძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2015 3—2

დაიკარგა პასპორტი № 273 ივანე არტემის ძე ლუკასოვის სახელზე, მიღებული თელავის თვითმართველობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2035 3—2

დაიკარგა უვადო საოჯახო პასპორტი № 3678 ალექსი იაკობის ძე ტომილინის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2020 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ტასო არჩვაძის სახელზე, რომელიც მდებარეობს ფალავანდოვის ქუჩაზე № 24. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2042 3—2

## ტფილისის პოლიტექნიკური სასწავლებელი

იღებს თხოვნებს მექანიკურ—წმინდა მექანიკურ და ელექტრო-მექანიკურ და საამშენებლო გზათა საამშენებლო და სახუროთმოძღვრო განყოფილებებზე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს: 1) 4 კლასის ატესტატი, 2) მეტრიკული მოწმობა, 9) მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ. ტფილისი, დიდი მთავრის ქ., 70. 2048

## კავკასიის იმპორტის და ექსპორტის სააქციო საზოგადოება.

**ბალანსი, 1920 წ. იანვრის 1-ლი.**

| აქტივი. | | პასივი. | |
| --- | --- | --- | --- |
| ანგარიში კასის . . . . . . . | 103.688 06 | ანგარიში ძირითად თანხის . . | 2.000.000 — |
| „ ბანკებში მიმდინარე ანგარიშების . . . | 590.132 51 | „ სპეციალ. ანგარიშების ბანკებში . . . . . | 500.590 35 |
| „ საქონლის . . . . . | 2.442.067 01 | „ ვალების გასანაღდებელ ვექსილებიდან . . | 1.660.000 — |
| „ უძრავი ქონების . . | 270.143 40 | „ გადასახდელ თამასუქ. | 270.000 — |
| „ მოძრავი ქონების . . | 23.960 — | „ სხვა და სხვა პირების და დაწესებულებების . | 3.510.803 56 |
| „ გასანაღდებელი თან. | 370.919 21 | „ გარდამავალი თანხების —პასივით . . . . | 3.000 — |
| „ თამასუქ. მისაღებ. . | 1.660.000 — | „ მოძრავი ქონების დამფარავ კაპიტალისა . | 2.396 — |
| „ ბანკში წარდგენილ გასანაღდებლათ თამ. | 666.000 | „ მოგებისა და წაგების . | 212.592 09 |
| „ ერევნის ექსიმპორტის აქციების . . . . . | 262.500 — | | |
| „ სხვა და სხვა პირებს და დაწესებულების . | 1.739.885 81 | | |
| „ გარდამავალი თანხ. —აქტივით . . . . | 2.876 — | | |
| „ 1920 წ. ხარჯები . . | 27.210 — | | |
| | 8.159.382 — | | 8.159.382 — |

**ანგარიში წაგებისა და მოგების.**

| | | | |
| --- | --- | --- | --- |
| 1. ანგარიში სავაჭრო ხარჯებისა . . . . . . . . . | 370.651 10 | 1. ანგარიში საქონლისა—მოგება გაყოფილ საქონლებიდან . . . . . . . | 801.966 32 |
| 2. ანგარიში გადახდილ პროცენტების . . . . . . . . | 248.344 38 | 2. ანგარიში კომისიის . . . | 174 40 |
| | 618.995 48 | 3. „ მიღებულ პროც. | 27.067 84 |
| 1919 წ. წმინდა მოგება . | 212.592 09 | 4. „ შემ. უძრ. ქონ. . | 2.379 01 |
| | 831.587 57 | | 831.587 57 |

გამგეობის თავმჯდომარე **გ. გ. ევანგულოვი.**

მმართველი **გ. ა. აგაბაბოვი.**

მთავარი ბუხჰალტერი **გ. გ. ტრდგუნოვი.**

აქციონერთა ამა წლის ივლისის 18-ის, საზოგადო კრების ოქმიდან ამონაწერი.

§ 5—1918-1919 პ რველ საოპერაციო წლის ანგარიში დამტკიცებულ იქმნას ერთხმად.

§ 6—პუნქტი ბ|—მიეცეს აქციონერებს დივიდენდი: პირველ გამოცების აქციათა მესაკუთრეებს 12 მანეთი თვითეულ აქციაზე, მეორე გამოცემათა აქციების მესაკუთრეებს კი 4 მანეთი თვითეულ აქციაზე.

დივიდენდის გაცემა დაიწყოს 1920 წლ. აგვისტოს 10-დან. 2022 1—1

სახელმწიფო სტამბა

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი